


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ГИФ.И.С.В., ред. „ДРОБВА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50 კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორზაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უანსაყენელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. სტრიქონზე
ნებისა ითვლება მათგან დაჭერად დაჭერის შემდეგ
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და შესა-
ღებებს დასაბუთებლად გამოკვლევას წერილებისა, დაუბრუნებელი
ღირს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი ივნისის პირველიდან წლის დამთავრებამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთა- თვის 4 მანათი და 50 კაპ.

ჭინჭ სვედრ ფულს არ შეძობიანს, ივნისის პირველიდან გა-
სეთი აღარ გაეკვანება.

პატივი მაქვს ვთხოვო დაბა ხო-
ნის სამასწავლებლო სემინარიის და-
რით მოსწავლეთა დამხმარებელი სა-
ზოგადოების ბ. ბ. წვერთა, მოძახ-
დენ ხონის სემინარიაში 1885 წ. ინი-
სის 29-ს დილის 10 საათზედ მოსა-
ლაპარაკებლად შესახებ საზოგადოე-
ბის წესდების მე 12 § მუხლში მოხ-
სენებული საგნებისა.

კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ
თავმჯდომარის თანაშემწე
(1-1) თ. დავით წულუკიძე.

ქუთაისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლი მუთაისი (წერილი ქუთაისიდან)

თქვენ კიდევაც გაგებული გაქვთ, რომ
წელს ჩვენმა თავად-აზნაურობამ რო-
გორც ამერეთისა, ისე იმერეთისა
ისეთი კაცები ამოირჩია თავიანთ წი-

ნამძღოლად — რომ ხაზ-ზუთობიას
უსათუოდ ბოლო მოეღება და არა
თუ მარტო ამისათვის უნდა გვიხარო-
დეს ჩვენ იმათი ამორჩევა, არამედ
იმიტომაც რომ, ეტყობა, ახლა გავი-
გეთ, შევიტყუეთ და დავანახეთ კიდევ
საზოგადოებას, რომ კაცი ამშვენებს
ალაგს და არა ალაგი კაცს, და თუ
ამ აზრით ვინმე მძღვანელებთ, საქმე
მაშინ უკან აღარ ჩამორჩება. რაღა
ბევრი გავაგრძელო, მართლ-ქანთში
მუხრან-ბატონი და აქ დ. შიფიანი,
იმედია, ისეთი ერთგულებით მოჰკი-
დებენ ჩვენს საზოგადო საქმეებს ხელს
და ისე ეცდებიან მალე და მსწრაფლ
დააკმაყოფილონ ყოველი კეთილი სა-
ჭიროება საზოგადოებისა, რომ იქნე-
ბა ჩვენს თავად-აზნაურობას ბევრჯელ
წარმოათქმევიან: „რა ღმერთი გვი-
წყრებოდა, სად ვიყავით აქამდის, რატომ
ამ გვარს კაცებს არ ვირჩევდითო!“

ღიალ, დიდი ერთ-სულობა საზო-
გადო საქმეებისადმი იხმარა ჩვენმა
თავად-აზნაურობამ წელს — განსაკუთ-
რებით კი იმერეთისა. ასეთის შეურ-

ამასობაში დევნულობით ატეხილი
წყლულები იკურნებოდნენ და განდევ-
ნილებიც მუშაობდნენ. ღიდ მწერალს
მართლა ნაყოფიერი გამოადგა ეს სამ-
შობლოს მოშორებით გავლილი წე-
ლიწადები. მან დაბეჭდა, 1756 წ.,
Contemplations-ის (შეჩრების) ორი
ტომი; 1859 წ., ორ ტომად კიდევ
Legende des Siècles (საუკუნოების
თქმულება), რომელიც ყველასთვის
საოცარი შეიქნა და მომეტებულ ნა-
წილად მის პოლიტიკურ ნაწარმოებ-
თა შორის ყველაზედ უფრო საუ-
ცხოვრო საკითხავად დარჩა. 1862 წ.
გამოვიდა ყველაზედ უფრო საუბრა-
ტესო და დიდი თხზულება, რომელიც
კი დაუწერია, და რომელსაც მოე-
ლოდნენ მოუთმენლად: Misérables
(საბრალონი) ათ ტომად. მისი მნიშე-
ნელობა და წარმატება იქიდანაც სჩანს,
რომ თორმეტ თუ ცამეტ ენაზე გა-
დითარგმნა და ჩვენს დღემდე ენაზედაც.
შარლ ჰიუგომ თავის მამის რომანი-
დან გადმოაკეთა დრამა, რომელიც
ბრიუსელში ითამაშეს იანერის შ-ს,
1863 წ. ძველ კონვენციონელის შან-
ვალჟანის, მონსენიერ დე-ღინის, ჟა-
ვერის, შილნორმანის ტიპები საოცა-

ყველობით — ასე გადუხე-გადმოუხვე-
ლად — ერთის ხმით თავის დღეში იმე-
რეთში აღრჩევას არავინ ღირსებია,
ერთი შავი არ ყოფილა — სულ თეთ-
რი!

მე არ შემძლია არ დავასახელო
ზოგიერთი პირები, რომელნიც ძა-
ლიან მოწადინებულნი იყვნენ ბ-ნი
ღმიტრი ივანეს-ძის შიფიანის ამორ-
ჩევისა და კიდევაც თავიანთ გავლე-
ნით, თუ სიტყვით ბევრად წასწიეს წინ
საქმე. მს პირები არიან აკაკი წერე-
თელი, ძირილე ლორთქიფანიძე და
თავ. აღმასხან ნიჟარაძე — რომლის
რანდულმა და სინილისიერმა მოქმე-
დებამ მეტის მეტად გაგვაკვირვა.

მეითონ ღმიტრი ივანეს-ძე შიფი-
ანი ჩამოვიდა ქუთაისში მადლობის
სათქმელად აღმორჩევის შემდეგ. — არ
არის საჭირო აღსწერო, მთელი ქუ-
თაისის თავად-აზნაურობა თუ როგორ
აღტაცებით მიეგება და მიესალმა ეოკ-
ზალზე. მე მხოლოდ მინდა გადავსცე
მკათხველებს მშვენიერი, სიტყვანი წარ-
მოთქმულნი მეორე დღეს კეთილ-შო-
ბილთა კრებაში, რომელსაც ღმიტრი
ივანეს-ძე შიფიანი პირველად დაეს-
წირა.

11 საათზე საქმაოდ ფართო ზალა
სავსე იყო თავად-აზნაურობით, მან-
დილოსნებით და სხვა ხალხით. შეე-
ლას მხიარულება და თან მედიდუ-
რობა ეტყობოდა სახეზე

შამოჩნდა თავის მიშვიდელი სახით

რი ხელოვნებით არიან აღწერილ-
ნი.

შრანსუას თარგმანით გამოწვეული
შემოხსენებული „შილიამ შექსპირი“
დაიბეჭდა 1864 წ.; Chansons des
rues et des bois (ქუჩებისა და ტყე-
ბის სიმღერები) 1865 წ.; Travailleurs
de la Mer (ზღვის მუშები) სამ ტო-
მად, 1866 წ.; Homme, qui rit (კა-
ცი, რომელიც იცინის) 1869 წ. ამ
თხზულებებთან მისი სათეატრო პიე-
სების წარმოდგენის უფლების დაბრუ-
ნებაც განუსაზღვრელად ეხმარებოდა
ჰიუგოს სახელის განთქმას.

Hernani (ჰერნანი) წარმოდგინეს
დიდის აზნით თეატრ-შრანსუაში 1867 წ.
გამოფენის დროს და Lucrece Bordia
(ლუკრეცია ბორჯია) 1870 წ. თე-
ატრულში, პორტ-სენ-მარტენის სცე-
ნაზე.

ჰორე ზანდამ ამ პიესების წარმო-
დგენისა გრძობიერი ანგარიში წა-
რუდგინა მიკტორ ჰიუგოს, რომლის-
გან შემდეგი პასუხი მიიღო:

„თქვენმა ჩინებულმა წერილმა გა-
მახარა. ჩემი მარტობა დაჩაგრუ-
ლია... მე ვუღიმი უსამართლობას და
ამ თანაგრძობის წინაშე, წინაშე ხალ-

ბ-ნი ღმიტრი ივანეს-ძე შიფიანი, მ-დი
აღმასხან ნიჟარაძე წინ მიეგება, შე-
მოიყვანა დარბაზში და გააცნო თავ-
დაზნაურობას. მოკლეს და გრძობ-
ბით სავსე სიტყვაში თ. აღმასხანმა
მიმართა, განუცხადა ყველას სინარუ-
ლი მისის ამორჩევის გამო და აი ჰა-
სუხად რა მოისმინა საზოგადოებამ:

„მასამდის სემწიფე იმერეთისაგან
დამტკიცებს კელირსებოდე, ძაშმდის
წოდებით გამოსკვლა რიგი არ არის.

მე მოკვდი აქ ასე, შინაურულად, რო-
გორც მოქმე თქვენი, ერთის ოჯახის
შვილი; — და მოკვდი მხოლოდ იმისთვის,
რომ მადლობის გამოთქმა მოვასწრსო
როგორმე, — რაც თქვენ დიდი ჰატივი მე
დამდეთ, იმისი დახსლგებით მისიც შე-
საბამი.

სატრახანსოა ჩემთვის, დადად სასიქა-
დულაა თქვენი აღწერვა, მეტადრე ისეთი,
როგორც თავადმა ღმრსხანმა შმანა, უმა-
გალითა ერთხმობა და ერთსულობა ძველ-
თა და ახალთა შორის, რომელითაც თქვე-
ნი საერთო დარსება შესსეფეთ. (ბრავო!)

დიდად ვაფასებ მე ამას და — მეტი
რომ არ შეიძლება — ისე დავალეუფი ვარ
ამ თქვენის აღწერვით.

მაგრამ ამასაც ვი ვგრძნობ, რომ სიტყ-
ვა ცარიელ სიტყვად დარსება, თუ საქმი-
თაც არ დამტკიცდა.

საქმის დამტკიცებას მე ასე ადგიო-
ქვამთ:

მასამდის ჩვენებურის კეთილშობილე-
რი შეურველობით და შეუზღვრობათ

ხის მამაკურის და ნაზი გულისა,
წინაშე პარიჟისთანა ქალაქის ტაშისა,
წინაშე შორე ზანდისთანა ქალის ტა-
შისა, მე თუმცა აზრებით გართული
კაცი ვარ, მანც ვგრძნობ გულის
მოლობას; ქემშარიტად ცოტათი
ეყვარებივარ ხალხს.“

ამ მწერლობისა და შინაურის პო-
ლიტიკის ასაზრუნველ მოღვაწეობის
გარდა, მიკტორ ჰიუგო „შევიწროე-
ბულთა მხარეზედაც“ იღბა. ამ შევი-
წროებულებებისადმი თანაგრძობა იყო
აგრეთვე იტალიისა და საბერძნეთის
დასახსნელად ხმის ამოდება. აი, მა-
გალითად, რითი აბოლოვებდა მიკ-
ტორ ჰიუგო ამერიკისადმი მიმართულს
ადრესს, რომლითაც იწვევდა ქრისტის
საშველად:

„მეთვრამეტე საუკუნეში საფრან-
გეთმა განათავისუფლა ამერიკა; მე-
ცხრამეტე საუკუნეში ამერიკა განა-
თავისუფლებს საბერძნეთს.“

„ამერიკელნო, თქვენ იყავით ჩვენ-
გან დავალებულნი ამ დიდი თავი-
სუფლების ვალით! შანაათავისუფლეთ
საბერძნეთი და ჩვენ ქრისთი ვიქმნე-
ბით. ბადუხადეთ საბერძნეთს — მით
საფრანგეთს გადუხადეთ.“

ვიკტორ ჰიუგო შაბაშ კაცი, შაბაშ სოცკვა, შაბაშ საქმე მისგან ქმნული. (დასასრული*)

როდესაც, 1855 წ. იმერატორი ნა-
პოლეონ III, შირიმის ომის შემდეგ,
წავიდა დედოფალ მიკტორისთან, მას
შეეძლო წავითხა ღუერის ყველა კე-
დლებზე, გადმოხდომის დროს, მიკ-
ტორ ჰიუგოს პროკლამაცია, რომე-
ლიც ყველა განდევნილთა სახელით
წინააღმდეგობას აცხადებდა.

ღვეწულობის დროს მიკტორ ჰიუ-
გოს იწვევდნენ და უფრო ხშირად სა-
პატიო თავმჯდომარედ კრებებზე, ცე-
რემონებზე და მასონთა ბანკეტებზე,
რომელნიც უცხოეთში იმართებოდნენ.
ამ დემოკრატიულ დღესასწაულებზე
მიკტორ ჰიუგომ წარმოსთქვა შესა-
ნიშნავი სიტყვები, სახელობარ, ლო-
ზანში და ჟენევაში.

*) იხილე „დროება“ № 112.

ვიდებოთ სიმართლისა და კანონიერების გზად... და სომ კარგად მოგვსვენებოთ, რომ დასაბამი და დასასრული ამ გზისა ჩვენი გულთადაი წრფელი ერთგულება არის ჩვენი სემწიფე იმპერატორისა, — მანამდის ამ გზად ვიდებოთ, — შირობას ვადევნებთ, შირობას ვატივობსანს, ვცურობს, რომ არასოდეს, არა რაისათვის არაფერს მოუკრიდო (ბრაჟო, ბრაჟო!) და არას შემთხვევაში არ დაგზავნო არც დრო და არც მშრომს ჩემი ჩვენი საზოგადოების სარგებლობისათვის. (ბრაჟო და ტაში).

რადესაც დამტკიცებებს კვდისკები, ამ აღქმას ვკარგსა და სასარგებლოდ ფიციით მოუნდებს დამტკიცებს და მამის თქვენი საგუბუნია წინამძღოლი თქვენს დემოკრატებსა და თქვენს მამრის მარშებს ჰეპარტავ ამ სიტყვებით: — აბა, ბატონებო! მხარი-მხარს ახლავ, ხელი-ხელს და ასე, უფლები ჩვენი დონის შემოკრებით, წინ გუქდოდეთ ჩვენს თავდაზნაურობას მისს წინ-მსვლელობაში და მისს მართლუბაში. (ბრაჟო, ბრაჟო! ბრაჟო!)

ეს იყო ამ თავით ჩემი სათქმელი, თუ რომ საკმაო ცხადად გამოვსთქვი.

მაგრამ ესეც კი უნდა ჩავიჭდით გულში, რომ თქვენი წინამძღოლი მხედ ვიქნებით თქვენს სამსახურზედ, მანამდის თვალ-სახილველად გვეჩვენება ის უძლეველი დონიერება, რომელსაც ჩვენს ეხსენებოდნენ:

„თანხმობა და ერთსულობა საზოგადოებისა!“

(ხანგრძლივი ტაშის კვრა და ბრაჟოს მახილი).

ამ სიტყვას მოჰყვა არა ნაკლებ ლაზათიანი სიტყვა აკაკისა:

ბატონო დიმიტრი!

სსკა-და-სსკა ასანარსზედ თქვენი მოღვაწეობა იმდენად თვალ-სახინათ და

1869 წ. პარიჟში გამოჩენილი დევნილის შთაგონებით დაარსდა ვაზეთი Rappel-ი (მოწოდება), სადაც იმყოფებოდნენ 1848 წლის Evenement-ის რედაქტორები, შარლ და შრანსუა ჰიუგო, ა. მაკრი და პოლმორისი, 1870 წლის პლემბისციტის დროს, მან დაბეჭდა ამ ვაზეთში ერთი საწინააღმდეგო სიტყვა, რომელიც მმართველობისადმი სიტყვიერისა და ზიზლის აღმძვრელად იცნეს.


ისე ეზიზლებოდა მაინც იმპერიის მმართველობა, რომ ყოველის მისგან ბოძებულის ამნისტიის უარზედ იღვავ; სამშობლოში ისე არ უნდოდა შემოსვლა, თუ არ შემოიტანდა თავისუფლებას, რომლისთვისაც ამდენს იბრძოდა.

მიკტორ ჰიუგოს შერნესეში დიდის ხნითვე მიკედლებული ჰყავდა ჰენეტ-დე-მსლერი, დეკემბრის 2-ს ვანდენილი; 1870 იგი თან გადაჰყვა სამშობლოს სევდას და მიკტორ ჰიუგომ სასაფლაოზე წარმოსთქვა, სხვათა შორის, ეს გრძობიერი სიტყვები:

„მშვიდობით, ჩემო ძველო ამხანაგო; ახლა იცხოვრებ ქვემარტის ცხოვრებით! იპოვნე სამართალს, ქვემარტებას, ძმობას, თანხმობას და

საკმაოდ განთქმული, რომ მათზე მითითება და მათი ჩამოვლა ეგელსაგან ცნობილი ამის განმეორება იქნებოდა; ჩვენ მხალად ვაღვირუბთ თუ რამდენად არის დაფასებული თანამემამულეთგან ის თქვენი სანგრძლივი ღვაწლი: იმერეთი დღეს გულ-წრფელად დღესასწაულადს თქვენს არჩევს. დიდი და მატარა, მოხუცი და უმცა, ერთი და პერიველა ერთად შეთანხმებულად ღიტანიობს. ამ ღიტანიას წინ მიუძღვის მოძველები იმელები და უკან მოსდევს თქვენი ქვეყნისადმი სამსახური, დიდ გულ-წრფელად დაფასებული. ამ გვარი პატივი თქვენთვის პირველი არ არის და უცხია: პატივი და სიყვარული მოძმეთაგან არადღეს არ დაგვკლებათ, მაგრამ დღევანდელი კი უფრო მეტია და საარაკეო თვისის საგნით; აქ ჩვენ ვსედავთ საიმედო ნიშნებს მოძველისა: დღეს ჩვენი იმერეთი ერთი სიყვარულით ეგებება უმეტეს მამულის შვილთაგანს, მოუხედავად ადგილისა და გვარ-ტომობისა. საიდანაც უნდა იყოს, რომელი კუთხიდანაც მთელის საქართველოსა, ის მაინც შეგნებულად მიუგებება და სიყვარულით მიიღებს როგორც მამას, ძმას და საკუთარ შვილს. აი ეს არის ის პირველი, ახალი ნაბიჯი, რომელსაც მივსუჯვართ წარმატებისაკენ და რომელიც აორკვეებს და ამართლებს დღევანდელს ჩვენს სისარულს... მიზეზი ამ სასაქადულად ნაბიჯის გამოწვევისა დღეს თქვენს ბედნებით და ამისათვის ვისურვებთ თქვენს სანგრძლივობას სრულს სიმართლით.

კრება ფრიად კმაყოფილი დარჩალა.



სიყვარულს უფროცელესის სიტყვადით. აი, ბრწყინვალეებით მიფრინავ, გამოიცნობ ღრმა საიდუმლოს ამ ყვავილთა, ამ ბალახთა, რომელთაც ქარი ჰზნექს, ამ ტალღათა, რომელთ ხმა იქამდის მიდის, ამ დიდებულ ბუნებისას, რომელიც სხეულს სიბნელეში შეისხამს და სულს სინათლეში“.

მისმა დევნულობამ იქნობამდე ვასტანა, რომ 1870—1871 წლის ომის გამოცხადების დროს კიდევ არ შეეძლო ძვირფასს სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ მალე შეიტყუა იმპერიის დაშობა.

— როდესაც სამართალი შევა საფრანგეთში, მეც მაშინ შევალა.

მიკტორ ჰიუგო პარიჟში მოვიდა სექტემბრის 5-ს და დიდი თანაგრძობით იქმნა მიღებული. მაგრამ მაშინ შავი დრო იყო. სამზღვარს მტერი ესევა! „ნაპოლეონ პატარის“ ავტორი გერმანიელებს მიმართავს პროკლამაციით, რომლითაც ემუდარება მთხალხათა ძმობასა და საყოველთაო კავშირს.

დადგენენ სამწუხარო დღეები პარიჟის გარ-შემორტყმისა. ჰიუგო „სასჯელთა“ გაყიდვით აღებულ ფულს სწირავს ზარბაზნების ჩამოსახმეულად.

შინაური ქრონიკა

== თელავიდან სწორენ „ბ. მიმოხილვას“: თელავის საზოგადოება ძალიან ააღვავა მაზრის უფროსის თავადი ჩოლაყაშვილის მოკვლის განძრახვამ შეელასთვის საოცარი ის არის, რომ დამნაშავედ ამ სამწუხარო შემთხვევაში გამოდის ახალგაზდა, მხიარული და ამასთანავე დაუმატებთ მოყვარული ფრანკო-რუსული რომანების კითხვისა, კნინა ჯ — ძისა. მისი ქმარი თავადი ჯ — ძე დიდხანს იყო თელავის მაზრის მომრიგებელ შუამავლად და ამ ხანებში დაითხოვეს ამ თანამდებობიდან, რადგანაც მასზედ აიღეს ეჭვი ვითომც იგი რაღაც კრიმინალურს საქმეში რეულიყო, თუმცა პროკურორმა ცუდი თავი დაანება ამის შესახებ გამოძიებას. — მენინა ჯ — სამ იფიქრა, რომ მისი ქმრის შერცხვენის მიზეზი არის მაზრის უფროსი თ. ჩოლაყაშვილი და გადაეწყვიტა, რომ უსათუოდ გადაეხადა იმისათვის როგორც. აღბად კნინას სახეში ჰყვანდა რომელიმე ფრანკო-რუსული რომანის გმირი-ქალი. სამწუხაროდ არც მოტივი და არც გარემოდები მისი მოქმედებისა არ მოუპოვებენ მგრძობიარე კნინას გმირის სახელს. როგორც უნდა იყოს, კნინას საბოლოოდ გადაეწყვიტა, რომ უთუოდ უნდა გადაეუნებო ჩემის ქრმის შემრცხვენსა და ერთს საღამოს ჩაეცო გლეხი ქალის ტანისამოსი, აელო რევოლვერი ხელში და წასულიყო ჩოლაყაშვილის სახლში. მარტებში მოსასახურე დაშვედროდა; კნინას ეთქვა მისთვის, რომ ძალიან დიდი საქმე მაქვს და უსათუოდ ეხლავე უნდა ენახო მაზრის უფროსი; კნინა ფეხ-და-ფეხ გაჰყოლოდა მოსამ-

ბრძოლის დროს არავითარი საზოგადოებრივი თანამდებობის აღება არ ისურვა მან, მაგრამ ყველა მოქალაქეთათვის საერთო მოვალეობა-კი აღასრულა.

ზავი დაიდვა. არჩევნები იწყებდნენ თებერვლის 8 და სენის დეპარტამენტის 214,169 ხმამ ვაგზენა პოეტი საერო კრებაში.

შედურის დღის კრებამ შეამინა იგი, რადგანაც მიკტორ ჰიუგო ამ ქამად რესპუბლიკის დაწინაურებულ დასის მომხრეს წარმოადგენდა. იგი გამოვარდა უმეტესობას და მარტის 8, როდესაც შუაზედ გააწყვეტინეს სიტყვა ზარიბაღლის დაცვის დროს, რეაქციით შეურაცხ-ყოფილი, დათხოვნის ქალაღდს აძღვეს. მან დასწერა:

„სამი კვირაა, კრებამ ზარიბაღლის მოსმენის უარი სთქვა. ღღეს ჩემი მოსმენის უარს ამბობს. ვეთხოვები“.

პარიჟში ამოუნა სუფვედა. მარტის 18 პარიჟში გაატარეს ბორდოს გადაცვლილი შარლ ჰიუგოს გვაში.

ამ მისთვის სამძიმო გლოვის რამდენსამე დღის შემდეგ ბრიუსელში

სახურეს და როცა ეს უკანასკნელი შესულიყო, კნინა... ჩოლაყაშვილისათვის, სახეზედნეწროდ ვერ მოხვედრებინა და იმ წამსვე ქუჩაში გაქცეულიყო. მაზრის უფროსი იმ დროს კაბინეტში მჯდარიყო და რაღაც ქალაღდები ესინჯა! მას პირველად ვერა ვაგვარა და პატარახანს უკან-კი ებძანებინა ბიჭებისთვის, რომ დაეკირათ. დამნაშავე კნინა მალე დაეკირათ და ვამაგებული ბიჭები, რომელთაც ვერ ეცნოთ კნინა, სამაოდ უზრდელად მოჰქცეოდნენ მას; ვინ იცის რით გათავდებოდა ესე მოქცევა. თუ პოლიციის პრისტავს შიუკოვს არ გამოეცალა კნინა ნამეტური ერთგული ბიჭების ხელიდან. ძალაქიდან მოვიდა პროკურორის თანაშემწე და გამოიძია საქმე; კნინა ჯ — ძისა ჯერ-ჯერობით თავის სახლშია დატუსაღებული.

== ს. ლილომიდან გვეწერენ: აქაურმა მამასახლისმა ლამის არის თავისი დაშართოს სოფელს სხვა-დასხვა ხარჯების ვაწერიტაო. სახემწიფოსაც ძლივს ვისტუმრებთ და ეს კი რამდენიც პრისტავი გამოვიღოს ან სხვა მოხელე, მაშინვე შეგვაწერს ფულს, თუმცა კი ყოველს, რაც რამ მოუნდებათ ხოლმე მოხელეებს, ჩვენვე გვართმევსო.

== ბურიიდან გვეწერენ, რომ რკინის გზა დიდ ზარალს გვაძლევსო; ისე დღე არ ვავა რომ საღმე ან ხარი ან ძროხა ლიანდაგზედ მიმავალი არ ვასრისოსო; მართალია ჩვენ მოვალენი ვართ ყური ვუფდოთ ჩვენს საქონელს, მაგრამ არც რკინის გზის ყარაულებს მოუვამთ დიდი ძალა, რომ ყური უფლონ ამ საქმეს; ჩვენ გვეგონა რკინის გზა სარგებლობას მოგვითანს, ზოგმა

წავიდა თავის შვილიშვილთა მემკვიდრეობის უფლების მოსაწყობად. იგი წინააღლდვა პარიჟის მმართველობის ზოგიერთ განაჩენს და ჰგვემა თანაბრად ისინიც, რომელნიც მანდამის სვეტს აქცევდნენ და ისინიც, რომელნიც „გამარჯვების არკას“ ყუმბარებს უშენდენ. როდესაც ამოუნის დენილები ბრიუსელში მოვიდნენ, პირველად უბედურებაში ჩაცვიდნენ, რადგანაც ბელგიას უნდოდა მათი დადარება საზოგადო დამნაშავეთათვის. მიკტორ ჰიუგომ შეიფარა რამდენიმე, მაგრამ კათოლიკე ბელგიელებმა უკმაყოფილება განაცხადეს და მისი სახლის მინები ჩამატყრეს. მან შიატევა ბრიუსელი. რამდენიმე დღის შემდეგ, განდენის განაჩენი ხელმოწერილი იქმნა მის წინააღმდეგ მეფე ლეოპოლდის მიერ:

აი, რას სწერდა ამაზედ მიკტორ ჰიუგო:

„მბრძანა ჰიუგოს მეფისაგან სამეფოს მიტევა და მეც მივდივარ. რათა? მიზეზი სულ უბრალოა, მეგობარო: და მე იმისთანა კაცი ვარ...“

ბრიუსელიდან ლონდონს წავიდა: მაგრამ დიდხანს არ დაუყვია იქ და ისევე პარიჟში ჩამობრუნდა. ივნისში

ადგილი დაეუბნეთ იაფად, ზოგი მუშაობასა ვმელოდით და ის კი არა თუ ზარალის მეტს არას გვაძლევსო. საქონელს ხომ გვიხრატენ, ამას გარდა კიდევ თითო სულზედ 25 მანათს ჯარიმას გვართმევენო.

შავს ზღვაში დაღუპული გემის „როსია“-ს შესახებ შევიტყუეთ შემდეგი ცნობანი. ამ გემზედ აზოვის ზღვაში დაუღვიათ ხორბალი; იქიდან გემი წამოსულა შოთში, აქ სიმინდი დაუღვიათ და გამგზავრებულა მარსელში. სულ მთელი გემის საპალნე ყოფილა წონით 200,000 ფუთი; საქონელი დაზღვეული ყოფილა. შოთში გემი ღირებულა 1,500,000 ფრანკი და ყოფილა სრულგები ახალთ-ახალი, წარსული სექტემბრის გასულს აშენებული.

აფხაზეთიდანა გვწერენ, რომ ოჩამჩირელები და მთელის ოჩამჩირის მაზრის (კოდორის განყოფილების) მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიან დ. ოჩამჩირეში ფოსტის განყოფილების უკონლობით. ქ. სოხუმსა და ოჩამჩირეს შუა ოკუპაციური ქალაქები დაქვეს კვირაში ერთხელ მიკრიკს, მაგრამ ეს მთავრობის მოთხოვნისადაც კანონიერად ვერ აკმაყოფილებს ხოლომე: წყლების აღიღების დროს, რაიცა ჩვეულებრივი მოვლენაა აფხაზეთში, მიკრიკი დიდხანს იგვიანებს. ძველი პირს ამ საშუალებით შეუძლია მხოლოდ უბრალო წერილის გაგზავნა სოხუმის ფოსტის კანტორაში გარდასაცემად და ისიც ალაღბებულა. შულის, თუ სხვა წერილების და კორესპონდენციათა გაგზავნა და მიღება ხომ სრულიად შეუძლებელია ოჩამჩირეში. ამიტომ არა ერთხელ მიუმათნიათ თხოვნით უმაღლესს მთავრო-

ბისადმი ოჩამჩირეში ფოსტის კანტორის დაარსებაზე, მაგრამ ჯერაც ვერ იქმნა ეს თხოვნა დაკმაყოფილებული.

იქიდანვე გვწერენ: „ორ წელზე მეტია, რაც აფხაზეთში ქურდობა და აფხაჯობა არ არის და საქონელი დღე და ღამ გაშვებული მინდორზე ბალახობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროში ამ სენმა, ქურდობამ, აქა იქ თავი იჩინა; სხვათა შორის ორს საზოგადოებაში ბუფუეს და ბესლაზუბისაში თენახვერის განმავლობაში ექვსზე მეტი ქურდობა მოხდა ცხენისა თუ კამეისა; ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, ადგილობრივ ადმინისტრაციის გაგულგრილებას აწერენ.“

უკახეთი

ინგლისი. ამ ორ-სამს დღეში ლონდონიდან მოსულს ტელეგრაფებს რომ დავემყაროთ — ბეჯითად დაგვაჯერებენ, რომ აი დღეს, თუ აი ხვალ მლადსტონის სამინისტროს სამსახურიდან გამოსვლის ამბავიც მოვაო. მაინც აღარა უკლია-რა ამ სამინისტროს დაცემას. სამინისტრო აცხადებს საზოგადოებათა პალატაში: თუ რომ არ მიიღებთ ჩვენგან წარმოდგენილს შემოსავლის ბიუჯეტის პროექტს, სამსახურს თავს დაეანებებთო. ასეთმა მუქარამ არავინ შეაშინა. მხოლოდ დატრიალდა და უარ-ჰყო ეს პროექტი. დამარცხებულმა სამინისტრომ გამოაცხადა მეორე დღეს, რომ იმის თაობაზედ, რაც გუშინ მოხდა საზოგადოებათა პალატაში, ჩვენ მოვასხენეთ დედოფალს, და რაც მო-

ვასხენეთ ამას-კი არა მოგიყვებით ცხელა თქვენაო, რადგან არა გვეგონია, რომ ყველას არ გვსოდნოთ, თუ რა გვარი იქმნებოდა ჩვენი მოხსენება. სამინისტროს თხოვნა პალატის წინაშე კანონიერი იყო, მართალია, — ამდენი ხარჯი რომ გავიღეთ საომარის მზადებისათვის, ამას დაფარვა უნდაო და ამისათვის გადასახადი გავადიდოთო, მაგრამ პალატის უმრავლესობამ არ შეიწყინა ეს თხოვნა, სულ თორმეტმა კენჭმა აჯობა (264—252) და ეს თორმეტი კენჭი შეიძლება ვახდეს მლადსტონის სამინისტროს ბედის გადაწყვეტი. დღევანდელი ტელეგრაფმა ახალის სამინისტროს წევრებსაც-კი ასახელებს, კონსერვატიული დასის მეთაურნი მიიღებენ სახელმწიფოს გამგებლობასაო. ამ მეთაურთა შორის ასახელებენ, სხვათა შორის ლორდთ: სალისბიურის, ჩერჩილსა და ნორსკოტს. და თუ მართლა ესენი მოხვდნენ მომავალს სამინისტროში, მაშინ მშვიდობიანობის დაცვისათვის მცირე-ლა იმედი დარჩება, რადგან ესენი სამნიც ცხარე მიმდევარნი იყვნენ ომით საქმის გადაწყვეტისა, მხურვალედ ეწინააღმდეგებოდნენ მლადსტონის გაუბედობას, ღუნე მოქმედებასა და ენერჯის ნაკლებობას.

იტალია. მთხმა დეპუტატმა განაცხადა პალატაში: „რა დანიშნულება ჰქონდა აფრიკის ექსპედიციასაო? ზარევე საქმეთა მინისტრმა გარდაწყვეტილად ვერა უპასუხა-რა ამ კითხვაზედ. ჩვენ არა-ვითარი პოლიტიკური განზრახვა არა გვქონდა, როდესაც აფრიკისაკენ გავამგზავრეთ ჯარები. მერობის თითქმის ყველა სახელმწიფოანი გავმართნენ აფრიკისკენ და არც ჩვენ ჩამოვრჩით მათაო. მარტო ასეთი მიზეზი ვერაფრად მოუწონეს მი-

ნისტროს, მით უფრო რომ ამ ექსპედიციისაგან, როგორც ცხელა ჰქონიათ, — არა გამოდგება რა სახელმწიფოსათვის სასარგებლო.

რომის პაპამ გამოიხმო ირლანდიელი ეპისკოპოსნი, რომელნიც მხარს აძლევდნენ პარლემენტებს და, საზოგადოდ, უძლიერეს მოწინააღმდეგებლად ითვლებიან ინგლისისა. პაპამ გაჰკიცხა ისინი, რომ კონონიერის გზიდან გადამცდარან და რევოლიუციონერებს მიჰყვებოდნენ. მისკოპოსთ თუმცა პირობა დაუდევს თავიანთ მთავარს, რომ კარგად მოიქცევიან, მაგრამ ინგლისის მმართველობას არა სჯერა მათი მოქცევა; შეიძლება აქტიურად აღარ გასწიონ ამ ეპისკოპოსებმა თანხმობითი მოქმედება პარლემენტთან, — იმ დასთან, რომელიც იბრძვის ინგლისისაგან ირლანდიის განთავისუფლებისათვის, მაგრამ ორ-პირულად უფრო დამახმობელი იქმნებოდა, — ჰფიქრობენ ინგლისში, — ეპისკოპოსობის პასიუური მოქმედებაო.

შავიპატი. არც ისე დიდი ხანია მასუკან, რაც მეგობრებს საქმემ სხვა საქმეს დაუთმო ადგილი ევროპის დიპლომატიკაში. მაგრამ ცხელა ისევ სასაპარეზო ხდება ეს საქმე. ოსმალეთის მთავრობასა ჰსურს მეთაური გახდეს ამ საქმეში და რაკი ხედავს ინგლისის არა სახარბიელო მდგომარეობას ამ უკანასკნელს ხანებში, წინადადებას მისცემს სენ-ჯემის კაბინეტს, რომ დიუკონტელიც გამოყვანილ იქმნენ ინგლისის ჯარები მეგობრად. აი, რა პირობებს იძლევა ხონთქარი; ა) დანიშნოს ვადა ინგლისმა, თუ როდემდის შეუძლიან მას გამოიყვანოს ჯარები მეგობრად; ბ) ყველა ხარჯი, რაც სუაკიმის დაქვრისათვის დასჭირდება ოსმალის

1872 წ. ჰიუგო, როგორც რადიკალურის დასის წარმომადგენელი უნდა შებრძოდა რევოლუციის კანდიდატს პოტარენს, მაგრამ წავაგო 25000 ხმით 122395 ხმის წინააღმდეგ, რომელიც მოსვლოდა მის მოცილეს.

ამ დროს გამოიცა Actes et paroles (საქმენი და სიტყვები). Année terrible (საშინელი წელიწადი) და Mes fils (ჩემნი ძენი). პირველ ტომში მოქცეულია სიტყვები, პროკლამაციები და წერილები იმისი, რომელიც ოცის წლის განმავლობაში დევნის შემდეგ ბრუნდებოდა საფრანგეთში, რომ გარეუღიყო პოლიტიკურ ბრძოლაში. Année Terrible (საშინელი წელიწადი), ეს ნაღვლიანის მამულიშვილის სასიკვდილო ნაწარმოებები შეიცავს იმ აზრებს, რომელნიც პოეტს დაებადა პარიზის გარემორტყმისა და სამოქალაქო ომის ცეცხლმოდებულ ქაშაშის დროს. თავდასხმა, ჩხუბები, მკვლელობა, თავდადება და სისხლმორყული მძულვარება მალდად ყდვრდნენ ახალნაწარმოებში, რომელმაც დიდი ხმა მოიპოვა.

მეატრები მას აქეთ მიკტარ ჰიუგოსგან მისი პიესების წარმოდგენისთვის ნებას ითხოვდნენ. მათ ენით გამოუთქ-

მელი წარმატება ჰქონდათ. შემდეგ გამოიცა Quatre-vingt-treize (ოთხმოცდაცამეტი), Art d'être grand père (როგორ უნდა გახდეს პაპი?) Pape (პაპი), la Pitié suprême (უმაღლესი შებრალება), Ane (ვირი) Religions et Religion (სარწმუნოებანი და სარწმუნოება) და Quatre vents de l'Esprit (გონების ოთხი ქარი.)

მისი მამულის განთავისუფლებამ მას იმისთანა ლექსები მთავაგონა, რომლებშიც მაშინ ისე ცხოველმა შურის-გების იმედმა წაშს დააფიქრა მისი მსოფლიო ზავის თეორიები.

„პარიზს შეუძლიან სხივოსნობა, ტყეს შეუძლიან მწვანე იყოს, ხეს შეუძლიან სავეს იყოს ბუდეებითა და ფრინველებით და შავი ყუმბარების გროვასაც ციხეში ხან-და-ხან ოცნებისა და ზარ-დაცემის გამოხედულვა აქვს; და მდებარე ზარბაზნებსაც ესმით ბნელში დაბლა მათთან მოლაპარაკე ხმა, და ტრაგიკული მომავალი ყოველსავე ამ საჭურველს თავის ველურს ლოგიკას უჩუქრჩულებს.“

როდესაც 1876 წ. უნდა აერჩიათ ერთად ერთი სასენატორო დელეგატი,

მიკტარ ჰიუგო იქმნა ამორჩეული. მან დასწერა მანიფესტი, რომლითაც სკდილობდა განემტკიცებინა მოქალაქეთა რესპუბლიკური გრძობები.

„ძალდატანების დრო წავიდაო, ამბობდა იგი, — მოაზრებები უფრო სასარგებლონი არიან, ვიდრე საღდათები; ხმლით წესიერდებიან, მაგრამ აზრით ნათლდებიან!“

მეორე კენჭის-ყრით ამორჩიეს იგი სენატორად იანერის 30-ს, 1876 წ. უკიდურეს მარცხენისკენ იყო, როცა სენატში ალაგი მიიღო. აქ მან ცოტა სიტყვები წარმოსთქვა, მაგრამ მითაც ბევრი კარგი ჰქმნა ამოუწის დასჯილთათვის ამნისტიის გამოსათხოვრად. ორატორმა ძლიერი ხმით წაიკითხა ერთი ქალაქი, რომელიც მარტო მისმა მეგობრებმა მოიწონეს, რადგან რეაქცია ყოველად შემძლე იყო ის ითხოვდა სრულს ამნისტიას უპირობოდ, შეუსაზღვრელს ყოველის პოლიტიკური დამნაშავეისათვის. მას მხოლოდ ექვსმა წევრმა მისცა ხმა.

მიკტარ ჰიუგოს მომხრე ხმები მუდამ უკიდურესი მარცხენის ხმები იყვნენ.

ძაბინეტი აგვიანებდა 1877 წლის არჩევნებს და სწაღდა, რომ მისის 16

მომხდარ ამბავს მოჰყოლოდა რესპუბლიკის დათრგუნვა.

ამ გაცხარებულ ბრძოლის დროს ორი პარტიის შორის გამოვიდა „ერთი ბოროტ-მოქმედების იმბავი“, რომელმაც დიდი ზედმოქმედება იქონია ამომრჩეველებზე.

აი, უმთმერესად, რა აწარმოვა ამ საოცარმა გენიოსმა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში პოეზიის ტალღებს ისროდა, საფრანგეთის ბედნიერებისათვის სიცოცხლეს არ ჰზოგავდა და სიტყვით თუ საქმით მაგალითს აძლევდა მთელ კაცობრიობას.

აიღევ უნდა გამოსულიყო ზოგიერთი მისი ნაწარმოები, მაგრამ საშინელომა ამბავმა შეიპყრო პარიჯი: ეს იყო მიკტარ ჰიუგოს სიკვდილი, რომელმაც დაამგლოვიარა არა თუ საფრანგეთი, არამედ მთელი ქვეყნიერება.

სექტრე მისი წამებისა და სიკვდილისა. შარიკი. მისი ნაწარმოებისა და სიკვდილისა.

ჯარს, გაღებულ იქმნას 9 მილ. სესხისაგან (რომელიც ინგლისის კაბინეტმა გადასდეს ამას წინადასაოპარ მომზადებათათვის). მსმალოს მინისტრთა რჩევამ მოიწონა ეს პირობა, მით უფრო რომ ინგლისის ამ ქაზად უარს ვერ იტყვის ამავდ. ინგლისის პოლიტიკურს წრეებში ჰფიქრობენ, რომ ხონტარი რომელიმე ინგლისის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ჩაგონებით მოქმედებსო.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 29-ს.

ლონდონი. გაზ. „Standard“-ი

ფიქრობს, რომ კონსერვატორების წინამძღოლნი მზად არიან ივისრან მმართველობა. ახალი კაბინეტის წევრების შესახებ ჯერ არავითარი დაწვრილებითი ცნობა არ არის; ამბობენ მხოლოდ, რომ ლორდი სალისბორი მიიღებს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელსო. ამას გარდა კაბინეტის წევრებად ასახელებენ ლორდ ჩერჩილს და ნორდსკოტს.

პარიზი. პრინც ვიკტორ-ნაპოლეონის მომხრეთა ამომრჩეველმა კომიტეტმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც მიჰმართავს რესპუბლიკის წინააღმდეგებს და მოიწვევს მათ რესპუბლიკურ პარტიასთან საბრძოლველად.

მაისის 30-ს.

პეტერბურგი. გაზეთები გვამყვებენ, რომ ამ საფრუელს პეტერბურგში აბისინის ელჩებს მოელოან. ამბობენ, რომ ელჩებს საგნად აქვთ დადგინონ დიდი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური კავშირი რუსეთთან; შემდეგ აბისინიაში წავა რუსეთის საელჩო და თან კარაფისათვის საჩუქრებს წაიღებს. საელჩოსთან ერთად წავლენ სწავლულნი აბისინიის გამოსაკვლევადა.

ლონდონი. გარემოება ჯერ არ გამარკვეულა; ახალ სამინისტროს შესახებ დაურღილი ხმები ჯერ-ჯერობით არა მართლებიან; გლადსტონი ჯერ კიდევ არ წასულა ბალმორალში, რომ დედოფალს თავის დათხოვნის შესახებ თხოვნა ჩააბაროს. ფიქრობენ, რომ კარაფლავა მალე ვინდნარში მოვა, რადგანაც სურს გადაწვევტილების მიღებადის შინად მოელაზარაკოს კონსერვატორების დასის მოთავსო.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 30.

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for 100 manna gold, 100 manna silver, and 100 manna copper.

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for 100 manna gold, 100 manna silver, and 100 manna copper.

ცნობანი

რძინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 35 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 15 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე ღამით. (უკველ-დე)

8 საათზე და 24 წამ. დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში დილის 8 საათ.

განცხადებანი

ცნობილი თავის თვისებით განაზიღოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

გალმანინი

ისეილება აფთიაქებში, აგრეთვე კვროპის დიდი სახეშიფოს უკველ ქადაქების მეწკრიმალეუბთან. შმთაპრძინი დეპრ იმყოფება ვარშავაში თვით გამოგონელს, აფთიაქის მექანე ფორმაციის მაგისტრს გ. კარპინსკისთან, ელექტორალის ქუჩასად, № 350. დიდი გოლოფი გალმანინისა დიღს ვარშავაში 50 კაზ., პეტარა 30 კაზ.

პრიღთ სიყალბით გაათთავულს

და მოითხოვო, რომ უკველ კოლფოთის დარბების ფურცელი იფოს, თუ როგორ ისმარება და პარიუის გამოფენის მედალი.

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი. (10-7)

ზანსამარტებლად იმ ბაქის წესისა, რომელიც დადებულ იქმნა ქალაქის ბიღებზე ვაგლისათვის

თბილისის ქალაქის გამეგობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს ბაქი, ქალაქის სასარგებლოდ დანიშნული, გადახდებთ მხოლოდ დაჭერილ ფაეტონებსა და ღროშკებს (მიგმჯდომთ), და არა დაუჭერილთ—კუჩრებს.

ინგლისური მაღაზისი

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში № 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიღის სამზღვარს გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან საღმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამუასებლებმა შეადარონ


Table with 4 columns: Item description, Price per 1 manna, Price per 20 manna, and Price per 1 manna 20 dirhams. Includes items like tea, coffee, and other goods.

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიღნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიღიან ასეთს სუნენლოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც მას გირვ. ნაკლებს არ იყიღის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიღება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკასი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ სელადგან—აი საიღუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიღის მრავალის ჩაის, კალმებს, ქალაღს, კრაოტებს და სხვ. (100-19)

ინგლისური რძინის კრატები



ერთის საწოლი 6 მანათიღვანს, და ორის საწოლი 10 მანათიღვანს; მათი ლეიბები, ზღვის პალასით გატენილი 4-ღვან 8 მანათიღვანს. კიდევ შემდეგი ნიეთები იყიღება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან საღმე: ბრიტანის მქტალის ნიეთები, ჩაიღნები, საკარაქე, სამაქე, კოკეები, შეფიღდის დასები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმული პირის საბანი, სტაქნები, სუფოგინიკი, საწყაო, რიუპეები, საქაშური, თეფშები, ბლიუღები, სასალათეები, ტაშტები, საწმეკეები, სამარღეები, გარჩიღის საფხეკეები, პრობის ამოსაღები, პრობეები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ლვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაყიდებლები, საბადო მაგრატეები, ვაქსები, უთაები, წისქვილები, სერსები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რეკალეკრები, პიუები, ზარიაღები, კაზსიულები, საფხეკები, ნიხები, ვატერპრუფი, საბნები, ჩუღებები, წინღები, (25-21)

სუფრები, საღმეკეები, რგოლები, უმაღლიანი ჭურჭლები, მურაბები, კამოსტები, კაშულები, სოუსები, ზღვის პალასი, დიმაკიტონი, ბომბონი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100-26)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელისმოწერისა

სურათებთან ვეფხის-ტყაოსანსე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ენლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. შასი სურათებანი შეფხის-ტყაოსანისა, იქნება რმა მანათიღვამ ათ მანათიღვამ, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის აღრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებანი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. (25-21)